

მომხმარებლის საყურადღებოდ

პატივცემულო მომხმარებელო! კომპანია „დიბი ლაბსი“ (ს/ნ 405409892, ტელ: 574 444 022, E-mail: info@dblabs.ge, მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N8) მადლობას გიხდით თქვენ მიერ გაკეთებული არჩევანისთვის.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნები და შემოგთავაზოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უახლესი ტექნოლოგიები.

კომპანია „დიბი ლაბს“-ში ფიზიკური პირის მიერ შეძენილ საქონელზე ვრცელდება 2 წლიანი კანონისმიერი გარანტია, რომლის გასვლის შემდგომ კომპანიის ასორტიმენტში მყოფი ტექნიკის ზოგიერთ მოდელზე, ან მათ გარკვეულ საკვანძო ნაწილებზე, ვრცელდება ასევე კომერციული გარანტია, რომელთა ვადები და პირობები მითითებულია საქონლის მწარმოებლის საგარანტიო პირობებსა და მათ საგარანტიო ტალონებში.

მოცემული გარანტია არ ვრცელდება იურიდიული/მეწარმე პირის და სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ შეძენილ საქონელზე.

1. კანონისმიერი გარანტია

1.1 „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებები.

1.1.1 მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ქვემოთ მოცემული უფლებებით, თუ საქონელს ნაკლი, საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში, აღმოაჩნდა (კანონისმიერი გარანტია).

1.2 კანონით დადგენილი მომხმარებლის უფლებებია:

1.2.1 თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

1.2.2 საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

1.2.3 იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერია ან შეუსაბამოდ დიდია ხარჯი, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) საქონლის ან მომსახურების ფასი მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში;

ბ) საქონლის ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის ხარისხი;

გ) საქონლის ნაკლის მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა.

1.2.4 საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც მან ეს საქონელი შეიძინა.

1.2.5 საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

1.2.6 მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში თუ შეუძლებელია ნივთის შეკეთება ან ნივთი აღნიშნული პირობების 2.2 პუნქტით დადგენილ ვადაში ვერ შეკეთდა და ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს არ აქვს ადგილზე და აღნიშნული ნივთ(ებ) გამოსაწერია საზღვარგარეთიდან, 3 თვის ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით, ხოლო თუ ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს აქვს ადგილზე, 15 სამუშაო ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 15 სამუშაო დღის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით ან შეწყდება ხელშეკრულება და 2 კვირის ვადაში დაბრუნდება გადახდილი ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

1.2.7 მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

1.2.8 მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია;

ბ) მოვაჭრემ საქონელი მოცემულ პირობებში მითითებულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.

1.2.9 მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მტკიცების ტვირთი:

2.1 თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

2.2 ნივთის შეცვლა, ან შეკეთება კანონისმიერი გარანტიის პირველი რიგის უფლებაა, შესაბამისად გამყიდველი ვადებულია შეცვალოს ნაკლოვანი ტექნიკა 2.3 და 2.4 პუნქტებით დადგენილი წესით, ან მომხმარებელთან შეთანხმებით შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა მოცემული პირობების შესაბამისად, სერვის-ცენტრში მისი მიღების მომენტიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკაში შესაცვლელი იქნება ისეთი სათადარიგო ნაწილი, რომელიც არ იქნება ადგილზე და გამოსაწერია საზღვარგარეთიდან, მაშინ ეს ვადა გაგრძელდება 45 სამუშაო დღემდე (არ შედის შაბათ-კვირა და ოფიციალური დასვენების დღეები).

2.3 იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნივთის შეკეთება ან ნივთი აღნიშნულ ვადაში ვერ შეკეთდა და ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს არ აქვს ადგილზე და აღნიშნული ნივთ(ებ)ი გამოსაწერია საზღვარგარეთიდან, 3 თვის ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით ან შეწყდება ხელშეკრულება და 2 კვირის ვადაში დაბრუნდება გადახდილი ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნივთის შეკეთება ან ნივთი აღნიშნულ ვადაში ვერ შეკეთდა და ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს აქვს ადგილზე, 15 სამუშაო ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 15 სამუშაო დღის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით ან შეწყდება ხელშეკრულება და 2 კვირის ვადაში დაბრუნდება გადახდილი ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2.5 საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

2.6 მომხმარებლის მიერ ნივთის შეძენიდან 6 თვის შემდგომ წარმოდგენილ მოთხოვნას ნივთის ნაკლის გამოსწორების თაობაზე მოვაჭრე გაითვალისწინებს იმ შემთხვევაში თუ იარსებებს შესაბამისი მტკიცებულებები (მათ შორის: ოფიციალური სერვის ცენტრის დასკვნა ნივთის პირვანდელი ნაკლის არსებობის შესახებ, მომხმარებლის სასარგებლოდ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ).

3. კომერციული საგარანტიო პირობები:

3.1 კომერციული საგარანტიო მომსახურება ფარავს ოფიციალური ბრენდის მიერ დადგენილ პირობებს, რომელიც მითითებულია მწარმოებლის საგარანტიო პირობებში;

3.2 კომერციული საგარანტიო მომსახურება გულისხმობს ნივთის უფასო შეკეთებას ან შეცვლას კომერციულ საგარანტიო პერიოდში.

3.3 პროდუქტზე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა მიმართოს შპს დიბი ლაბს საკონტაქტო ელ.ფოსტაზე: info@dblabs.ge, საიდანაც მოხდება მომხმარებლის გადამისამართება მწარმოებლის ავტორიზებულ სერვის ცენტრში ან დიბი ლაბსი თავად მოახდენს აღმოჩენილ ხარვეზთან დაკავშირებით რეაგირებას.

3.4 გარანტია ვრცელდება ტექნიკის იმ დაზიანებაზე, რომელიც განპირობებულია ქარხნული/ტექნიკური წუნით (არა პროგრამული);

3.5 სერვის ცენტრში კომერციული საგარანტიო მომსახურების მისაღებად უნდა წარადგინოთ მწარმოებლის კომერციული საგარანტიო ტალონი, გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად;

3.6 მწარმოებლის კომერციული საგარანტიო ტალონი (ასეთის არსებობის შემხვევაში) უპირატესია;

3.7 კომერციულ საგარანტიო ტალონში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ნივთის დასახელება, სერიული/იმიე კოდი, მყიდველის ვინაობა, შეძენის თარიღი, გამყიდველი კომპანიის ბეჭედი. წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქტს კომერციული საგარანტიო მომსახურება არ შეეხება;

3.8 შპს „დიბი ლაბსი“ ვალდებულია, უზრუნველყოს დაზიანებული პროდუქციის შეკეთება კომერციულ საგარანტიო ტალონში მითითებული პირობების შესაბამისად. კერძოდ, გამყიდველი ვადებულია შეცვალოს ნაკლოვანი ტექნიკა 3.9 პუნქტით გათვალისწინებული წესით, ან მომხმარებელთან შეთანხმებით შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა მოცემული პირობების შესაბამისად, სერვის-ცენტრში მისი მიღების მომენტიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკაში შესაცვლელი იქნება ისეთი სათადარიგო ნაწილი, რომელიც არ იქნება

ადგილზე და გამოსაწერია საზღვარგარეთიდან, მაშინ ეს ვადა გაგრძელდება 45 სამუშაო დღემდე (არ შედის შაბათ-კვირა და ოფიციალური დასვენების დღეები).

3.9 იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნივთის შეკეთება ან ნივთი აღნიშნულ ვადაში ვერ შეკეთდა და ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს არ აქვს ადგილზე და აღნიშნული ნივთ(ებ) გამოსაწერია საზღვარგარეთიდან,3 თვის ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით, ხოლო თუ ახალი იდენტური ან მსგავსი ნივთი მოვაჭრეს აქვს ადგილზე, 15 სამუშაო ვადაში მოხდება ნივთის შეცვლა ახალი იდენტური მოდელის პროდუქტით, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელთან შეთანხმებით 15 სამუშაო დღის ვადაში ჩანაცვლდება იდენტური სპეციფიკაციის სხვა მოდელით ან შეწყდება ხელშეკრულება და 2 კვირის ვადაში დაბრუნდება გადახდილი ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3.10 იცვლება მხოლოდ დეფექტური ნივთი და არა სრული კომპლექტაცია (აქსესუარები და სახარჯი მასალები, შეფუთვა, ყუთი).

3.11 იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის მიერ დადგენილი კომერციული საგარანტიო ვადა 2 წელზე მეტია, 2 წლის გასვლის შემდგომ, ნივთზე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, არ ვრცელდება კანონისმიერი გარანტია. მოხდება მხოლოდ ნივთის შეკეთება.

3.12 კომერციული გარანტიის შემთხვევაში ნივთის შეცვლა არ მოხდება შემდეგ შემთხვევებში :

3.12.1 ნივთი ჰიგიენური ხასიათისაა;

3.12.2 ნივთი დამონტაჟებულია (მაგ: ჩაშენებულია, მიმაგრებულია კედელზე და სხვ).

3.12.3 ნივთი დამზადებულია მომხმარებლის შეკვეთით;

3.12.4 მიწოდებული საქონელი, რომელიც მიწოდების დროს განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;

3.12.5 საქონელი, რომლის მიწოდების შემდეგ მოვაჭრის მიერ განხორციელდა მონტაჟი/მომსახურება. მოვაჭრემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო.

3.12.6 დამატებითი მომსახურება, რომელიც განხორციელდა მიწოდების შემდეგ (მონტაჟი, წმენდა, პროგრამების ინსტალაცია...).

3.12.7 ნივთები, რომელთა მიმართ არ არის დაცული ექსპლუატაციის პირობები;

3.13 კომერციული საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება ან უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

3.13.1 გასულია კომერციული საგარანტიო ვადა;

3.13.2 კომერციული საგარანტიო ტალონი არ არის წარმოდგენილი;

3.13.3 კომერციულ საგარანტიო ტალონში მონაცემები შეცვლილია, წაშლილია ან გადაკეთებულია;

- 13.3.4 კომერციულ საგარანტიო ტალონში და მოწყობილობის კორპუსზე არ იკითხება ან ამძვრალია სერ/ნომერი, იმეი კოდი;
- 3.13.5 მოწყობილობას აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დაზიანება/დეფექტი, რაც გამოწვეულია მომხმარებლის ბრალით და რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ნივთის დაზიანება; (გაკაწრული, გაბზარული, ჩაჭყლექილი დამწვარი, დამდნარი, დეფორმირებული, გატეხილი, გადაღებილი);
- 3.13.6 მოწყობილობა გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნ(ებ)ით;
- 3.13.7 დაზიანებულია ან ამძვრალია პლომბი ან ლუქი;
- 3.13.8 დარღვეულია მწარმოებლის მიერ მოწყობილობაზე თანდართული შენახვისა და მოხმარების წესი;
- 3.13.9 დაზიანება გამოწვეულია კომპიუტერული ვირუსის ან შეუსაბამო ფაილ(ებ)ის მიერ;
- 3.13.10 დაზიანება გამოწვეულია ელ.ქსელის გაუმართაობით(ძაბვის ცვლილება მეტია ან ნაკლებია 220-230 ვოლტზე), მექანიზმის დანესტიანებით, კოროზიით, მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ექსპლუატაციის და შენახვის წესების / პირობების დარღვევით, არაკომპეტენტური პირის მიერ ჩატარებული არაკვალიფიკაციური სარემონტო/სამონტაჟო სამუშაოების შედეგად.
- 3.13.11 კომერციული გარანტია არ ვრცელდება პროგრამულ უზრუნველყოფაზე, კვების ბლოკზე, ნივთის ელემენტზე, სადენებზე, გადამყვანებზე, სამუხტ მოწყობილობასა და სხვა აქსესუარებზე.
- 3.13.12 კომერციული გარანტია არ ვრცელდება ამა თუ იმ ნივთის სახარჯ მასალაზე.
- 3.13.13 კომერციული გარანტია არ ვრცელდება ტექნიკაზე, რომელზეც სამონტაჟო ან საგარანტიო სამუშაოები არ არის შესრულებული უფლებამოსილი სერვის ცენტრის სპეციალისტის მიერ.

4. გთხოვთ გაითვალისწინოთ:

4.1 შეძენილი ნივთის მიღებისთანავე შეამოწმეთ მისი ვიზუალური მდგომარეობა და შპს „დიბი ლაბსის“ წარმომადგენლის თანდასწრებით აქტში დააფიქსირეთ „არ აღენიშნება ვიზუალური დეფექტი/აღენიშნება ვიზუალური დეფექტი“.

4.2 თუ შეძენილ ნივთს გაყიდვიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში აღმოჩნდება პირვანდელი ნაკლი, მომხმარებელმა დაზიანებული ნივთი აღნიშნულ ვადაში უნდა გადასცეს შპს „დიბი ლაბსს“. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სერვის ცენტრი შეცვლის აქტით დაადასტურებს ქარხნულ დეფექტს, ნივთი შეიცვლება აღნიშნული წესების 3.9 პუნქტით დადგენილი წესით.

5. დისტანციურად შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების პირობები

5.1 დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში შეძენიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში (საქონლის მფლობელობაში მიღებიდან), მომხმარებელს უფლება აქვს გამყიდველს დაუბრუნოს შეძენილი პროდუქცია მიზეზის/საფუძვლის მითითების გარეშე.

ეს წესი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე/მეწარმე სუბიექტებზე

კერძოდ, მეწარმე სუბიექტებს/იურიდიულ პირებს არ აქვთ ნივთის 14 კალენდარულ დღეში დაბრუნების უფლება.

5.2 დაბრუნების სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელმა უნდა მიმართოს შპს „დიბი ლაბს“ და წარუდგინოს დოკუმენტაცია, რომელშიც მითითებული იქნება პროდუქციის შეძენის თარიღი, მომხმარებლის სახელი, გვარი, შეძენის დოკუმენტაცია (საბანკო გადახდის ქვითარი ან ინვოისის რეკვიზიტები) და დაბრუნების მიზეზი.

5.3 მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადახდილი თანხა, დაუბრუნოს სრულად, გაჭიანურების გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა, თუ მომხმარებელი მოვაჭრეს დაუბრუნებს საქონელს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შეძენიდან 7 კალენდარული დღისა. ნივთის დაბრუნების პუნქტამდე ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მომხმარებლის ხარჯებით, კერძოდ მომხმარებელი თავად აანაზღაურებს საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯს.

5.4 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრეს უფლება აქვს, უარი თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს.

5.5 ნივთის უნაკლო, გაყიდვამდელი მდგომარეობა დადასტურდება კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ნივთის კომპანიისათვის გადმოცემის მომენტში.

5.6 თუ ნივთს აღმოაჩნდება რაიმე სახის თავდაპირველი ნაკლი, მომხმარებელმა უნდა ისარგებლოს კანონისმიერი საგარანტიო პირობებით.

5.7 თანხის უკან დაბრუნება მოხდება იმავე ანგარიშსწორების ფორმით, რითიც ისარგებლა მომხმარებელმა, თანხის დაბრუნება მოხდება იმავე პიროვნების/მოქალაქის ანგარიშის ნომერზე, ვინც მოახდინა გადახდა გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომხმარებელსა და გამყიდველს შორის შედგა დამატებითი შეთანხმება.

5.8 ნივთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ სრული კომპლექტაციით (აქსესუარები, ყურსასმენი, დამტენი, კაბელები....), და დაუზიანებელი ქარხნული შესაფუთი მასალით (დაზიანებულ ყუთში არ იგულისხმება პროდუქციის შემოწმების მიზნით უბრალოდ გახსნილი, დაუზიანებელი ყუთი). ასევე მომხმარებელმა უნდა დააბრუნოს ყიდვის მომენტში მიმდინარე აქციის ფარგლებში მიღებული აქსესუარები, ელ.ვაუჩერები ან/და სხვა ნივთები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს ან შეიცვალოს ორიგინალ/დასაბრუნებელ მოწყობილობასთან ერთად. თუ ვერ მოხდება აღნიშნული ნივთების/ვაუჩერების დაბრუნება, მათი ღირებულება გამოაკლდება მომხმარებლისთვის ასანაზღაურებელ თანხას.

5.9 ნივთის დაბრუნების პირობები არ ვრცელდება იმ ნივთზე ან მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება.

ყურადღებით შეამოწმეთ ნივთები ჩაბარების მომენტში და დარწმუნდით, რომ ჩაიბარეთ შემოწმებული, ფიზიკურად უნაკლო პროდუქტი

6. ნივთის უპირობოდ დაბრუნება არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ:

6.1 მომხმარებლის ნივთს აღმოაჩნდება რაიმე სახის ფიზიკური/გარეგანი დაზიანება, დაზიანებული/განადგურებული იქნება ქარხნული ყუთი/შეფუთვა (დაზიანებულ ყუთში არ იგულისხმება პროდუქციის შემოწმების მიზნით უბრალოდ გახსნილი დაუზიანებელი ყუთი) ან წაშლილი იქნება პროდუქტის საიდენტიფიკაციო/იმეი კოდი.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ ცვლილებაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს და რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისთვის ამ კანონით დადგენილ ვადაში წარმოიშვა;

6.3 მიწოდებული საქონელი ან მომსახურება მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული ან აშკარად მის პირად საჭიროებებზეა მორგებული;

6.4 მიწოდებული საქონელი მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;

6.5 ჰერმეტიკულად დაცული საქონელი, რომლის ჰერმეტიკულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო;

6.6 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომხმარებელმა მოვაჭრე გადაუდებელი სარემონტო/ტექნიკური მომსახურების გასაწევად გამოიძახა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიღმა გაწეულ დამატებით მომსახურებაზე;

6.7 ნივთები, რომელთა მიმართ არ არის დაცული ექსპლუატაციის პირობები, რითიც მოხდა ნივთის დაზიანება.

6.8 ნივთს აღენიშნება მოხმარების ისეთი კვალი, რომელიც ამცირებს მის სასაქონლო ღირებულებას. (ნივთი არის გაკაწრული, გაბზარული, ჩაჭყლეტილი დამწვარი, დამდნარი, დეფორმირებული, გატეხილი, გადაღებილი).

6.9 ნივთი, რომელსაც აღმოაჩნდება რაიმე სახის ფიზიკური ან ტექნიკური ზემოქმედების გარეკანი კვალი, განსხვავებით ჩაბარების მომენტისა, სადაც ამ უკანასკნელს აქვს ხელმოწერა, რომ ჩაიბარა გარეგნულად უნაკლო პროდუქტი.

6.10 ნივთები, რომელთა დაბრუნებაც გსურთ, არის თქვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში, სანამ ისინი გამყიდველის საწყობს არ მიაღწევენ, მათი დაზიანების ან დაღუპვის რისკი გეკისრებათ თქვენ. პროდუქტის ჩვენს საწყობში დაბრუნების/გამოგზავნის პროცესში მიყენებული ზიანი თქვენი პასუხისმგებლობაა. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ უსაფრთხოდ შეფუთეთ საქონელი, რათა თავიდან აიცილოთ რაიმე დაზიანება პროდუქტებზე ან ყუთებზე, რადგან ეს გავლენას მოახდენს პროდუქტის ღირებულებაზე და შესაბამისად, ჩვენს შესაძლებლობაზე, გავყიდოთ პროდუქტი. დარწმუნდით, რომ პროდუქტის ორიგინალური შეფუთვა ხელუხლებელია. გთხოვთ, შეინახოთ ქვითრები, საფოსტო გზავნილის დოკუმენტი და ნომრები, როგორც ნივთის გამყიდველისათვის გამოგზავნის მტკიცებულება.

კანონისმიერი გარანტია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე!

საგარანტიო მომსახურების მისაღებად გთხოვთ, დაუკავშირეთ შპს „დიბი ლაბს“ - ტელ: 574 444 022, E-mail: info@dblabs.ge, მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N8